ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 1

დ. ხულო

20..01. 2014 წელი

ერთი მხრივ სსიპ სოფელ მეკეიძეების საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი დირექტორის თემურ მიქელაძის სახით მეორეს მხრივ შპს „თამთა " „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საკანცელარიო საქონელი და სამეურნეო ინვენტარის მიწოდება 445 00000;391 00000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3 000 ლარს. (სამიათასი)

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31დეკემბრამდე პერიოდში.

3.2. საქონლის მიწოდების ადგილია ხულო.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან/და შესაბამისი ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 31 დღის ვადაში.

4.4. ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი საქონლის გარკვეული ნაწილის აუთვისებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია დარჩენილ თანხაზე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. სხვა პირობები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

8.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

8.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად მხარეთათვის.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

10. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ ს.მეკეიძეების საჯარო სკოლა
მისამართი სოფ. მეკეიძეები
ს/კ 248053840
ა/ნ 34080143
ბანკის დასახელება: სს "ლიბერთი ბანკის
ბანკის კოდი**LIBERTGE** 22

დირექტორი თ. მიქელაძე

მიმწოდებელი:
შპს „თამთა"
ს/კ 448047060

ბანკის დასახ. შს. პრივატბანკი
კოდი: **CAVOGE 22**
ა/ნ **CE40TP00360800600**

ხელმძღვანელი ო. შანთაძე